TINATIN KAROSANIDZE
FREE UNIVERSITY OF TBILISI
t.karosanidze@freeuni.edu.ge

"ISLAMIC STATE" AND ISLAMIC RADICALIZATION THREAT IN POST-SOVIET CENTRAL ASIA

Abstract

After the collapse of the Soviet Union, the issue of stability and security of Post-Soviet Central Asia is still relevant. The rising threat from neighboring countries, the civil war in Syria and "Islamic State" in the Middle East are posing great risks to the region. If earlier terrorism and Islamic radicalism were not a significant threat to the region and mainly were linked to external factors and Afghan Mujahedeen, the emergence of the "Islamic State" and activity of the new radical groups put a new reality in the region. The existence of radical groups inside the region was a surprise to the local authorities (Karin 2017, 5; Swansttom 2010, 35-51; Balchi 2014). The article analyzes the new challenges connected to the activation of radical Islam and the emergence of "Islamic State". There is analyze of the threat in Central Asian countries when citizens of these countries go to Syria and Iraq to fight and after coming back, create radical cells in their home countries.

Keywords: "Islamic State", terrorism, Central Asia, Radical Islam.

In the spring of 2015, the so-called "Islamic State" declared about the creation of Vilayat of Khorasan and aimed to recruit new members from Afghanistan and Pakistan. Vilayat of Khorasan included historic cities of Persia: Nishapur and Tus (Iran), Merv and Sanjak (Turkmenistan), Samarkand and Bukhara (Uzbekistan), Herat and Balkh (Afghanistan), Khujand and Panjakent (Tajikistan). In August of the same year, the Islamic Movement of Uzbekistan (IMU) pledged the oath of allegiance to the "Islamic State" (IS). It is difficult to determine how many people joined the ranks of IS in Syria and Iraq, but in recent times, citizens of Uzbekistan and Kyrgyzstan have increasingly involved in the terrorist attacks carried out by the IS. They have been mainly used for suicide attacks. In 2016 the IS attacked Ataturk airport in Turkey and Chechen, Kyrgyz and Uzbek terrorists were accused of organizing it (Abizaid 2017).

The activation of IS and declaration about the creation of Khorasan Vilayat, put post-Soviet Central Asian countries in front of a new reality. For them, the internal threat became more important than external and questions arose: is a foreign threat more dangerous than an internal one? The internal threat is created by those citizens, who go to fight to Syria and Iraq and will come back well-trained to their homelands and likely will replace those radicals that have not been able to be trained in Afghanistan and Syrian wars. Although there is no direct evidence on the existence of "Islamic State" and "Al-Qaida" in the region, the linkage between these groups and the above-mentioned terrorist attacks is obvious.

The Spread of Radical Islam in Post-Soviet Central Asia

The spread of radical Islam in Post-Soviet Central Asia began in the 1990s and is associated with the opening of borders and the period of religious revivalism after the collapse of the Soviet Union. Neighboring to Afghanistan and Pakistan threatened to spread terrorism and radical Islam in the region. Consequently, local elites had to fight politically and religiously against radical groups in order to prevent spreading religion from outside the region. The collapse of the Soviet Union coincided with the last period of the civil war in Afghanistan, which led to the 1992 civil war between the Communist elite and the opposition[1] in Tajikistan (Abizaid 2017). The conflict covered Central Asian countries and as a result, the local authorities declared the Islamic forces illegally. Islamic forces from Fergana Valley tried to detain the government in Uzbekistan and Tajikistan. This effort clearly showed the local governments that

[1] In Tajikistan religious forces presented the opposition.

political Islam was a threat to national governments and hindered the economic and social development of the countries.

If we look at the history of the spreading of Islam, it has the biggest influence on Uzbekistan and Tajikistan among five republics of post-Soviet Central Asia, where the population was mostly farmers. In Kyrgyzstan, Kazakhstan and Turkmenistan the influence of Islam was relatively light because of the nomadic population. Kyrgyz, Kazakh and Turkmens were acquainted with Muslim neighbors in the early days, but because of their nomadic lifestyle, their "Islamization" was managed only in the XVII-XIX centuries (Ro'i 2000, 242; Sagdeev 2000, 8). Religion and ethnicity in the Post-Soviet Central Asian discourse are combined and it is quite clear. Religious identity discourse was often used to differ ethnic groups. For example, Kyrgyz were distinguished from Uzbeks, Kazakhs from Tajiks. Tajiks and Uzbeks were recognized as more religious than Kazakhs and Kyrgyz or Turkmens (Tromble 2017, 356). When Kyrgyz describes a religious man, he compares him to Uzbek and says that this Kyrgyz is like "Uzbek" (Tromble 2017, 356). Uzbeks believe, that they are better Muslims than Kazakhs and Kyrgyz, Tajiks, in turn, think, that they are "true Muslims" (Omelicheva 2010, 181).

The motherland of the emergence of Islamic movements and the Islamic Movement of Uzbekistan (IMU)[2] in the 1990s became Uzbekistan. The IMU tried to carry out several terrorist attacks (among them was the futile attempt of the terrorist attack on the president of Uzbekistan), but the movement was weaker inside the country than outside Uzbekistan. Uzbek authorities were fighting against IMU. In 1992-2005, about 6,000 people were arrested for the Islamist charge, many of whom died due to ill-treatment and bad conditions or diseases. Tajikistan and Afghanistan have become a safe heaven for Tajik, Kyrgyz or Uighur members of IMU. The Islamic Movement of Uzbekistan contributed to the creation of other radical movements. Islamic Jihad Union was formed from IMU. This organization became the first terrorist group in Central Asia, which used suicide tactics (Dzhani 2009). The organization collaborated with Afghanistan and al-Qaeda. The organization shared the ideology of global jihad and therefore its members acted in different countries. After the formation of "Islamic State", members of the Islamic Jihad Union moved from Afghanistan and Pakistan to Syria to fight.

Jamaat Ansarullah (the Union of God's Warriors) was also separated from the Islamic Movement of Uzbekistan. It was formed by Tajik fighters and became known only in 2010 after it had taken responsibility for the explosion in the province of Sughd. In 2012, this group was declared illegal and banned in Tajikistan (Karin 2017, 22).

Katibat al-Tawhid wal-Jihad was formed by ethnic Uighurs in 2014. Nowadays there are 180-200 members from Kyrgyzstan, Pakistan and Xinjiang province of China, 35 of who are fighting in Syria. The organization took responsibility for the attack on Russian armed forces in Syria. It is also accused of attacking the Embassy of China in Kyrgyzstan, when three people were killed (BBC 2016).

Katibat Imam Bukhari or Imam Bukhari's battalion is the largest Central Asian military group fighting in Syria. Up to 400 Uzbeks are fighting in the ranks of the group. The founder of the battalion, Salahuddin in 1999 joined the IMU together with Juma Namangani and Tahir Yiuldashev (Eniseev). In 2011, Salahuddin went to Syria and created his battalion there. The group was considered as a part of the "Islamic State", but in 2015, it was merged with Jabhat Fateh al-Sham.

"Islamic State" in Central Asia

According to the US Department report of June 2016, 40,000 fighters from 100 countries were fighting in Syria. It should be noted, that the number of fighters in Syria and Iraq is far more than the number of people who have joined different terrorist groups during the last 20 years and have fought in Afghanistan, Yemen, Somalia and other countries (RT 3 June 2016). According to the Soufan Group, in Syria and Iraq, 27,000-31,000 people fought in the ranks of IS and other radical groups. Among them, about 2000 were from post-Soviet Central Asian countries. Since June 2014 the number of foreign fighters has doubled and the number of combatants from Central Asia increased by 300% (TSG 2015; Topchi 2016). It is difficult to determine the number of fighters from Central Asia because sometimes local authorities do not distribute official information about the number of people leaving or if they spread, the methodology and sources of information gathered by them, are unknown. Some sources

[2] Historically two Islamic sects were established in Central Asia: Hanafi mazhab of Sunni Islam and Deobandi. Some radical groups follow the ideology of Deobandi. It shares Salafi ideology approach with the return to the Prophet's period of lifestyle. According to Deobandi ideology, Muslim is at first Muslim and then representative of any ethnic group, so his obligations are related to Islam and only after that - the country. The Muslim should defend the interests of the Islamic Society - Umma and only after that - the country or nation. Deobandi ideology justifies jihad as a way to protect Muslims in their countries.

include children and women among people leaving for Syria and Iraq when other sources do not consider them.[3] More difficult is to figure out the number of returnees (Appendix 1).

Kazakhstan

Kazakhstan became the first target of Jihadists' propaganda. "Islamic State" was distributing videos, where the lives of the fighters from Kazakhstan and their going to Syria to fight were described. Special attention is paid to the fact that the "Islamic State" used for the first time juveniles for its propaganda. According to data of 2017, 500 fighters went to Syria and Iraq to fight (Barret 2017, 12). 120 of them are fighting in Syria now.

Kyrgyzstan

The threat of terrorism is high in Kyrgyzstan and mainly associated with the city of Osh and ethnic Uzbeks living there. For example, In February 2014 Kyrgyz security forces detained 10 residents of the Osh region who were planning terrorist attacks in Kyrgyzstan. According to the investigation, some of them were trained in Syria and participated in military operations. The fighters returning from Syria in 2013, who planned an explosion on Independence Day of Kyrgyzstan and Shanghai Cooperation Council Summit, were arrested. One of the detainees was from Kazakhstan, two - from the Osh region of Kyrgyzstan (TSG 2015). In December 2017, a member of the international terrorist group was arrested in Kyrgyzstan. During 2016-2017, he fought in Syria and returned to Kyrgyzstan to create underground terrorist cells and new channels for transfer militants from Kyrgyzstan to Syria (Mokorenko 2017). According to data of 2016, 571 citizens of Kyrgyzstan went to fight in Syria, 63 of them were families and about 100 - juveniles. It is noteworthy that 80% of the population of Syria is ethnically Uzbek (TSG 2015).

Tajikistan

Among Central Asian countries, most people joined the "Islamic State" from Tajikistan. According to data from 2014-2015, from 200 up to 1000 Tajiks went to fight in Syria. After independence, the danger of national security was the Islamic Movement of Uzbekistan. Since 2013, "Islamic State" replaced the Islamic movement of Uzbekistan after hundreds of Tajiks joined IS. These decisions put the country into a new reality. The special threat to the country was IS fighters who would return to their homeland.

Among 120 fighters from Tajikistan, who joined IS, 24 hold Bachelor degrees. That's why the government's narrative about poor, unemployed and illiterate people joining the "Islamic State" is lacking the truth.

The IS fighters from Tajikistan are mainly 18-40 years old men, most of whom lived in Russia and were recruited in mosques and training clubs in Russia. 80% of Tajiks were recruited in Russia by IS, where they migrated to work. Most migrants from Central Asia are educated and more qualified than those services that they do in Russia. Consequently, 50% of IS fighters are graduators of secular universities (Lemon, Heathershaw 2017).

Tajikistan was one of the first countries to strengthen its law for participation in armed conflicts outside the country. In 2016 368 members of terrorist organizations were arrested, including 133 members of IS, 18 of "Muslim Brothers", 10 - Islamic Movement of Turkestan (Karin 2017, 17).

Uzbekistan

Uzbekistan has a long history of religious radicalism. Islamic Movement of Uzbekistan was considered to be the main threat to the region that contributed to the emergence of their terrorist groups such as *Jamaat Ansar Allah*, *Jund al-Khilafa*, *Islamic Jamaat of Uzbekistan*. Following the oath of loyalty to the IS, members of IMU went to Syria and created militant groups such as Imam Bukhari's Battalions and *Katibaat Al-Tawhid wal-Jihad*.

[3] There are cases when people go to live in the "Islamic State" together with their families (Kaunekova 2016). For example, from Tajikistan 150 families went to IS, from Kyrgyzstan - 63 (Karin 2017, 15).

There is no official confirmed information about the number of Uzbeks who went to fight in Syria. According to the unofficial data, from 3000 to 3500 fighters fight in Syria from Uzbekistan, but according to the national security service data, from 500 to 600 citizens of Uzbekistan are in Syria now (Karin 2017, 18).

Turkmenistan

According to the data of 2013, 190 citizens from Turkmenistan went to fight in Syria. They joined different terrorist groups in Syria. Unfortunately, it is impossible to gather information about people who went to fight in Syria, because the government has closed every source from where is possible to get information.

According to several experts, there are no obvious signs that religious, economic or political factors influence the involvement of Central Asian citizens in "Islamic State" and "Export of Terrorism". This assumption is based on the view, that there are only a few terrorist groups operating in the region and during 2012-2015, only 62 out of 85,000 terrorist attacks have occurred in Central Asia (Lemon 2017). Central Asian countries were facing similar threats from local groups connected to Taliban in Afghanistan and Pakistan in the past and supposedly new connections to the "Islamic State" will threaten the region as soon as the returning fighters will start to "import terrorism" to their homeland (Curtis 2016).

References:

Abizaid, Dana E. 2017. "Why ISIS Recruits from Uzbekistan and Kyrgyzstan". http://nationalinterest.org/feature/why-isis-recruits-uzbekistan-kyrgyzstan-19067, sited on 7/08/2017.

Balci, B., Didier Chaudet. 2014. "Jihadism in Central Asia: A Credible Threat after the Western Withdrawal from Afghanistan". Carnegie Endowment for International Peace, at http://carnegieendowment.org/2014/08/13/jihadism-in-central-asia-credible-threat-after-western-withdrawal-from-afghanistan-pub-56381, sited on 22/08/2017.

Barret, R. 2017. "Beyond the Caliphate: Foreign Fighters and Threat of Reternuees". October, 2017. http://thesoufancenter.org/wp-content/uploads/2017/11/Beyond-the-Caliphate-Foreign-Fighters-and-the-Threat-of-Returnees-TSC-Report-October-2017-v3.pdf

"Chinese embassy blast: Car bomb attack in Bishkek, Kyrgyzstan". BBC News. 30 August 2016.

Curtis Lisa, Luke Coffey, David Inserra, Daniel Kochis, Walter Lohman, Joshua Meservey, James Phillips, and Robin Simcox. 2016. "Combatting the ISIS Foreign Fighters Pipeline: A Global Approach". January 6, 2016. http://www.heritage.org/middle-east/report/combatting-the-isis-foreign-fighter-pipeline-global-approach

Dzhani, F. 2009. "What is the "Islamic Jihad Union: an Invention of Secret Services or a "Daughter" of Al Qaeda?" FerganaNews, 28 September 2009. www.fergananews.com (Chto takoe 'Soyuz Islamkogo dzhikhada: vidumka sekretnikh spetssluzhb ili 'dochka' al Kaidi?").

Eniseev, M. "Yet More Extremists Convicted in Uzbekistan". SA Online. www.inozpress.kg

"Foreign Fighters in Syria, an Updates Assessment of the Flow of Foreign Fighters into Syria and Iraq". The Soufan Group, December 2015. http://soufangroup.com/wp-content/uploads/2015/12/TSG_ForeignFightersUpdate_FINAL3.pdf

Karin, Erlan. 2017. "Central Asia: Facing Radical Islam". Russie. Nei.Visions, No. 98, Ifri, February 2017, sited on 31/01/2018.

Kaukenova, S. 2016. "200 Kazakhstanstev vmeste s sem'iami voiuiut v Sirii i Irake - sekretar' Sovbeza ("200 Kazakhs, Together with Their Families, are Fighting in Syria and Iraq - Secretary of the Security Council"). Vlast.kz, 2 March 2016. http://vlast.kz

Lemon E., John Heathershaw. 2017. "How Can we Explain Radicalization among Central Asia's Migrants?" 2 May, 2017. https://www.opendemocracy.net/od-russia/edward-lemon-john-heathershaw/can-we-explain-radicalisation-among-central-asia-s-migrants

Mokrenko, A. 2017. "Militants Transferring People to Syria Detained in Kyrgyzstan". 11 December, 2017, 24.kg news.

https://24.kg/english/70610_Militant_transferring_people_to_Syria_detained_in_Kyrgyzstan
Omelicheva, M.Y. 2010. "The Ethnic Dimension of Religious Extremism and Terrorism in Central Asia". *International Political Review*, 31(2): 167-186.
"Over 40, 000 Foreign Militants from 100 Countries Fighting in Syria - US State Department". RT, 3 June 2016. www.rt.com
Ro'i, Yaacov. 2000. *Islam in the Soviet Union: From the Second World War to Gorbachev*. New York: Columbia University Press.
Sagdeev, R. "Central Asia and Islam: an Overview" in R. Sagdeev and S. Eisenhower. *Islam and Central Asia: an Enduring Legacy or an Evolving Threat?* Washington, DC: Center for Political and Strategic Studies.
Swanström, Niklas. 2010. "Traditional and Non-Traditional Security Threats in Central Asia: Connecting the New and the Old". *China and Eurasia Forum Quarterly*, Volume 8, No. 2 (Summer): 35-51.
Topchi, A. 2016. "The Danger of DAESH in Central Asia". TRTWORLD, 2 September, 2016. https://www.trtworld.com/asia/the-danger-of-daesh-in-central-asia-2697
Tromble, Rebekah. 2017. "From Nomadic Traditionalists to Sedentary Scripturalists? Reexeamining Ethno-Religious Discourse in Central Asia". *Problems of Post- Communism*, vol. 64, no. 6: 356-369.
Zennin, Jacob. "On the Eve of 2014: Islamism in Central Asia". https://www.hudson.org/research/9824-on-the-eve-of-2014-islamism-in-central-asia

Appendix 1

Country	Official Data		Unofficial Data		Citizens who came back to their homelands
	2015 Year	2017 Year	2015 Year	2017 Year	
Kazakhstan	300	200[4]	*		*
Kyrgyzstan			500	500	44
Uzbekistan			500	1500	*
Tajikistan	386	1300			147
Turkmenistan			360-400		*

[4] According to Kyrgyz authorities' data of March 2016, 200 Kazakhs fought in Syria and Iraq and lived together with their families on the territory of "Islamic State" (Kaukenova 2016).

თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
t.karosanidze@freeuni.edu.ge

„ისლამური სახელმწიფო“ და ისლამური რადიკალიზაციის საფრთხე პოსტსაბჭოთა ცენტრალურ აზიაში

რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ცენტრალური აზიის სტაბილურობის და უსაფრთხოების საკითხი კვლავ აქტუალური რჩება. მეზობელი ქვეყნებიდან მომდინარე მზარდი საფრთხეები, სამოქალაქო ომი სირიაში და ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობა რეგიონს დიდი რისკების წინაშე აყენებს. თუ ადრე ტერორიზმი და ისლამური რადიკალიზმი რეგიონში მნიშვნელოვან საფრთხედ არ აღიქმებოდა და ძირითადად გარე ფაქტორებს და ავღანელ მუჯაჰედებს უკავშირდებოდა, „ისლამური სახელმწიფოს“ აღმოცენებამ და რეგიონში ახალი რადიკალური დაჯგუფებების მოქმედებებმა ცენტრალური აზიის ქვეყნები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. რეგიონში შიგნით მოქმედი რადიკალური დაჯგუფებების არსებობა ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა (Karin 2017, 5; Swansttom 2010, 35-51; Balchi 2014). სტატიაში განხილულია ის ახალი გამოწვევები, რომელიც რადიკალური ისლამის გააქტიურებას და ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ აღმოცენებას მოყვა. რეგიონის ქვეყნების მიხედვით, გაანალიზებულია ის საფრთხე, რომელსაც ამავე ქვეყნების მოქალაქეები ქმნიან, როდესაც სირიასა და ერაყში საბრძოლველად მიდიან და უკან დაბრუნების შემდეგ ცენტრალური აზიის ქვეყნებში რადიკალურ უჯრედებს ქმნიან.

საკვანძო სიტყვები: „ისლამური სახელმწიფო“, ტერორიზმი, ცენტრალური აზია, რადიკალური ისლამი.

2015 წლის გაზაფხულზე ე.წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ ხორასნის ვილაიეთის შექმნის შესახებ გამოაცხადა და მიზნად ავღანეთსა და პაკისტანში ახალი წევრების მოზიდვა დაისახა. ხორასნის ვილაიეთში ისტორიული სპარსეთის ქალაქები: ნიშაპური და თუსი (ირანი), მერვი და სანჯაყი (თურქმენეთი), სამარყანდი და ბუხარა (უზბეკეთი), ჰერათი და ბალხი (ავღანეთი), ხუჯანდი და პანჯაკენთი (ტაჯიკეთი) შედიოდა. იმავე წლის აგვისტოში უზბეკეთის ისლამურმა მოძრაობამ „ისლამურ სახელმწიფოს“ ერთგულების ფიცი გამოუცხადა. რთულია იმის დადგენა თუ რამდენი ადამიანი შეუერთდა დაჯგუფების რიგებს სირიასა და ერაყში, მაგრამ ბოლო პერიოდში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ განხორციელებულ ტერაქტებში სულ უფრო მეტად ჩაერთვნენ უზბეკეთის და ყირგიზეთის მოქალაქეები, რომლებსაც დაჯგუფება ძირითადად სუიციდური აქტებისთვის იყენებდა. 2016 წელს თურქეთში „ისლამურმა სახელმწიფომ“ ათათურქის სახელობის აეროპორტში თავდასხმა განახორციელა, რომლის ორგანიზებაში ბრალი ჩეჩენ, ყირგიზ და უზბეკ ტერორისტებს დასდეს (Abizaid 2017).

„ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებამ და ხორასნის ვილაიეთის შექმნის შესახებ განცხადებამ პოსტ-საბჭოთა ცენტრალური აზიის ქვეყნები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. მათთვის გარე საფრთხეზე უფრო მნიშვნელოვანი შიდა საფრთხე აღმოჩნდა და კითხვები გაისმა: გარე საფრთხე უფრო საშიშია თუ შიდა? შიდა საფრთხეს ის მოქალაქეები ქმნიან, რომლებიც სირიასა და ერაყში საბრძოლველად წავიდნენ და კარგად გაწვრთნილები უკან

დაბრუნდებიან სამშობლოში და სავარაუდოდ იმ რადიკალებს ჩაანაცვლებენ, რომლებსაც მსგავსი წვრთნა ავღანეთსა და სირიაში ომში არ გაუვლიათ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში „ალ-კაიდასა“ და "ისლამური სახელმწიფოს" არსებობის შესახებ პირდაპირი მტკიცებულებები არ არსებობს, ამ დაჯგუფებების საქმიანობასა და უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ ზოგიერთ ტერაქტს შორის კავშირი აშკარაა.

რადიკალური ისლამის გავრცელება პოსტ საბჭოთა ცენტრალურ აზიაში

პოსტსაბჭოთა ცენტრალურ აზიაში რადიკალური ისლამის გავრცელება მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საზღვრების გახსნას და რელიგიური აღორძინების პერიოდს უკავშირდება. ავღანეთთან და პაკისტანთან მეზობლობა რეგიონში ტერორიზმის და რადიკალური ისლამის გავრცელების საშიშროებას აჩენდა. შესაბამისად, ადგილობრივ ელიტებს რადიკალური დაჯგუფებების წინააღმდეგ პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლა მოუწიათ, რათა რელიგია რეგიონის გარედან არ გავრცელებულიყო. საბჭოთა კავშირის დაშლა ავღანეთში სამოქალაქო ომის ბოლო პერიოდს დაემთხვა, რასაც ტაჯიკეთში 1992 წელს სამოქალაქო ომი კომუნისტურ ელიტასა და ოპოზიციას[1] შორის მოყვა (Abizaid 2017). კონფლიქტმა რეგიონის ქვეყნები მოიცვა და შედეგად ადგილობრივმა ხელისუფლებებმა ისლამური ძალები უკანონოდ გამოაცხადა. ისლამური ძალები ფერგანის დაბლობიდან უზბეკეთსა და ტაჯიკეთში ხელისუფლების დაკავებას შეეცადნენ. ამ მცდელობამ ნათლად დაანახა ადგილობრივ ხელისუფლებებს, რომ პოლიტიკური ისლამი ეროვნული მთავრობებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას აფერხებდა (Zenin).

ისლამის ისტორიულად გავრცელებას რომ შევხედოთ, პოსტსაბჭოთა ცენტრალური აზიის ხუთი რესპუბლიკიდან ისლამმა ყველაზე დიდი გავლენა უზბეკეთსა და ტაჯიკეთზე მოახდინა, სადაც მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. ყირგიზეთში, ყაზახეთსა და თურქმენეთში კი მომთაბარე მოსახლეობის გამო, ისლამის გავლენა შედარებით მსუბუქი აღმოჩნდა. ყირგიზები, ყაზახები და თურქმენები მუსლიმ მეზობლებს ადრეულ პერიოდშივე გაეცნენ, მაგრამ სწორედ მათი მომთაბარე ცხოვრების წესის გამო, მათი „ისლამიზაცია“ მხოლოდ მე-17-19 საუკუნეებში მოხერხდა (Ro'i 2000, 242; Sagdeev 2000, 8). რელიგია და ეთნიკურობა რომ იმთავითვე შერწყმულია პოსტსაბჭოთა ცენტრალური აზიის დისკურსში, ნათელია. რელიგიური იდენტობის დისკურსი ხშირად ეთნიკური ჯგუფების განსხვავებისთვის გამოიყენებოდა. მაგალითად, ყირგიზებს უზბეკებისგან გამოარჩევდნენ, ყაზახებს - ტაჯიკებისგან. ტაჯიკები და უზბეკები ბუნებით უფრო რელიგიურებად აღიქმებიან, ვიდრე ყაზახები და ყირგიზები თუ თურქმენები (Tromble 2017, 356). ყირგიზები როდესაც აღწერენ რელიგიური ადამიანს, ისინი უზბეკს ადარებენ და ამბობენ, რომ ეს ყირგიზი „უზბეკივითაა“ (Tromble 2017, 356). უზბეკებს კი სჯერათ, რომ ისინი უკეთესი მუსლიმები არიან, ვიდრე ყაზახები და ყირგიზები, ტაჯიკები თავის მხრივ თვლიან, რომ "ნამდვილი მუსლიმები" ისინი არიან (Omelicheva 2010, 181).

ისლამური მოძრაობების აღმოცენების სამშობლო გასული საუკუნის 90-იან წლებში სწორედ უზბეკეთი ხდება და იქ მოქმედი უზბეკეთის ისლამური მოძრაობა.[2] უზბეკეთის ისლამური მოძრაობა რამდენიმე ტერაქტის განხორციელებას შეეცადა (მათ შორის პრეზიდენტზე უშედეგო თავდასხმაც განახორციელა), თუმცა მოძრაობა ქვეყნის შიგნით

[1] ტაჯიკეთში ოპოზიციას ისლამური ელემენტებით შეფერილი რელიგიური ძალები წარმოადგენდა.

[2] ისტორიულად ცენტრალურ აზიაში ისლამის ორი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა: სუნიტური ისლამის ჰანაფიტური მაზჰაბი და დეობანდიზმი. რადიკალური დაჯგუფებების ნაწილი დეობანდიზმს მისდევს. დეობანდიზმი სალაფიზმის მიდგომას მოციქულის პერიოდთან დაბრუნებასთან იზიარებს. დეობანდიზმის იდეოლოგიით მუსლიმი ჯერ მუსლიმია, შემდეგ კი - რომელიმე ეთნოსის წარმომადგენელი, რომლის მთავარი ვალდებულებები ჯერ ისლამს უკავშირდება, მხოლოდ ამის შემდეგ - ქვეყანას. მუსლიმმა ისლამური თემის ანუ უმმას ინტერესები უნდა დაიცვას და ამის შემდეგ - ქვეყნის თუ ერის. დეობანდის იდეოლოგია ჯიჰადს ამართლებს, როგორც საკუთარ ქვეყანაში მუსლიმთა დაცვის საშუალებას.

უფრო სუსტი იყო, ვიდრე ქვეყნის გარეთ. უზბეკეთის ხელისუფლება ამ მოძრაობას აქტიურად ებრძოდა. 1992-2005 წ.წ. უზბეკეთში ისლამისტობის ბრალდებით დაახლოებით 6000 ადამიანი დააპატიმრეს, რომელთა დიდი ნაწილი ციხეში ცუდი მოპყრობის და პირობების თუ დაავადებების გამო გარდაიცვალა. მოძრაობის უზბეკი, ტაჯიკი, ყირგიზი თუ უიღური წევრებისთვის ტაჯიკეთი და ავღანეთი უსაფრთხო თავშესაფარი გახდა. უზბეკეთის ისლამურმა მოძრაობამ სხვა რადიკალური მოძრაობების შექმნას შეუწყო ხელი, თვით ამ მოძრაობიდან შეიქმნა ისლამური ჯიჰადის კავშირი, რომელიც უზბეკეთის ისლამურ მოძრაობას გამოეყო. ეს ორგანიზაცია გახდა პირველი ტერორისტული დაჯგუფება ცენტრალურ აზიაში, რომელმაც სუიციდური ტერორიზმის ტაქტიკას მიმართა (Dzhani 2009). ორგანიზაცია ავღანეთთან და ალ-კაიდასთან თანამშრომლობდა. ორგანიზაცია გლობალური ჯიჰადის იდეოლოგიას იზიარებდა და ამიტომაც მისი წევრები სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედებდნენ. „ისლამური სახელმწიფოს“ აღმოცენების შემდეგ, ორგანიზაციის წევრებმა ავღანეთიდან და პაკისტანიდან სირიაში საბრძოლველად გადაინაცვლეს.

უზბეკეთის ისლამური მოძრაობიდან ასევე გამოეყო *ჯამაათ ანსარულას* (ღმერთის მეომრების გაერთიანება) დაჯგუფება. ის ტაჯიკი მებრძოლებისგან შედგებოდა და მის შესახებ ცნობილი მხოლოდ 2010 წელს გახდა მას შემდეგ, რაც პასუხისმგებლობა სუღდის პროვინციაში აფეთქებაზე აიღო. 2012 წელს დაჯგუფება ტაჯიკეთში უკანონოდ გამოცხადდა და აიკრძალა (Karin 2017, 22).

ქათიბათ ალ-თავჰიდ ვალ-ჯიჰად 2014 წელს ეთნიკური უიღურების მიერ ჩამოყალიბდა. ამჟამად მასში 180-200 წევრია გაერთიანებული ყირგიზეთიდან, პაკისტანიდან და ჩინეთის სინძიანის პროვინციიდან. რომელთაგან 35 სირიაში იბრძვის. ორგანიზაციამ სირიაში რუსეთის შეაიარაღებულ ძალებზე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა აიღო. მას ასევე ბრალი ედება ყირგიზეთში ჩინეთის საელჩოზე თავდასხმაში, რასაც სამი ადამიანი ემსხვერპლა (BBC 2016).

ქათიბა იმამ ბუხარი ანუ იმამ ბუხარის ბატალიონი სირიაში მებრძოლი ცენტრალური აზიის უმსხვილესი სამხედრო გაერთიანებაა. დაჯგუფების რიგებში 400-მდე უზბეკი იბრძვის. ბატალიონის დამაარსებელი სალაჰუდინი 1999 წელს ჯუმა ნამანგანთან და ტაჰირ იულდაშევთან ერთად უზბეკეთის ისლამურ მოძრაობაში გაერთიანდა (Eniseev). 2011 წელს სალაჰუდინი სირიაში წავიდა და იქ საკუთარი ბატალიონი შექმნა. დაჯგუფებას "ისლამური სახელმწიფოს" ნაწილად მიიჩნევდნენ, თუმცა 2015 წელს ეს დაჯგუფება *ჯაბჰათ ფათეჰ ალ-შამშთან* გაერთიანდა.

„ისლამური სახელმწიფო“ და ცენტრალური აზია

აშშ-ის დეპარტამენტის 2016 წლის ივნისის მონაცემებით, სირიაში 100 ქვეყნიდან 40 000 მებრძოლი იბრძოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სირიასა და ერაყში მებრძოლების რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც გასული 20 წლის განმავლობაში სხვადასხვა ტერორისტულ დაჯგუფებებში გაერთიანდნენ და ავღანეთში, იემენში, სომალიში და სხვა ქვეყნებში იბრძოდნენ (RT 3 June 2016). Soufan-ის ჯგუფის ანალიზის მიხედვით, სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ და სხვა რადიკალურ დაჯგუფებებში 27,000-31,000 ადამიანი იბრძოდა. აქედან დაახლოებით 2000 მებრძოლი პოსტსაბჭოთა ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან იყო. 2014 წლის ივნისის შემდეგ უცხოელ მებრძოლთა რიცხვი გაორმაგდა, ხოლო ცენტრალური აზიიდან წასული მებრძოლების რიცხვი 300%-ით გაიზარდა (TSG 2015; Topchi 2016). ცენტრალური აზიიდან წასული მებრძოლების რიცხვის დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან ზოგჯერ ადგილობრივი ხელისუფლებები ოფიციალურ ინფორმაციას წასულთა რაოდენობის შესახებ არ ავრცელებენ ან თუ ავრცელებენ, უცნობია მათ მიერ შეკრებილი ინფორმაციის მეთოდოლოგია და წყაროები. ზოგი წყარო სირიასა და ერაყში წასულებში ბავშვებსა და ქალებსაც თვლის მაშინ,

როდესაც სხვა წყაროები ამას არ ითვალისწინებს.[3] უფრო დიდი სირთულეა, უკან დაბრუნებულების რიცხვის გაგება (იხ. დანართი 1).

ყაზახეთი

ყაზახეთი ჯიჰადისტების პროპაგანდის პირველი სამიზნე გახდა. „ისლამური სახელმწიფო“ ვიდეოებს ავრცელებდა, სადაც ყაზახი მებრძოლების ცხოვრება და სირიაში საბრძოლველად წასვლა ასახეს. განსაკუთრებულ ყურადღებას ის ფაქტი იპყრობს, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ საკუთარი პროპაგანდისთვის არასრულწლოვანები პირველად გამოიყენა. 2017 წლის მონაცემებით, ყაზახეთიდან სირიასა და ერაყში საბრძოლველად 500 მებრძოლი წავიდა (Barret 12, 2017). მათგან 120 ამჟამად სირიაში იბრძვის.

ყირგიზეთი

ტერორიზმის საფრთხე ყირგიზეთში მაღალია და ძირითადად უკავშირდება ქალაქ ოშს და იქ მცხოვრებ ეთნიკურად უზბეკ მოსახლეობას. მაგ., 2014 წლის თებერვალში ყირგიზეთის უსაფრთხოების ძალებმა ორი სპეცოპერაციის შედეგად ოშის რეგიონის 10 მაცხოვრებელი დააკავეს, რომლებიც ყირგიზეთის ტერიტორიაზე ტერაქტებს გეგმავდნენ. გამოძიების მიხედვით, ზოგიერთმა წვრთნა სირიაში გაიარა და სამხედრო ოპერაციებში უშუალოდ მონაწილეობდა. 2013 წელს სირიიდან დაბრუნებული მებრძოლები, რომლებიც ყირგიზეთის დამოუკიდებლობის დღეს და შანხაის თანაშრომლობის საბჭოს სამიტზე აფეთქებას გეგმავდნენ, დააპატიმრეს. ერთი დაკავებული ყაზახი ეროვნების იყო, ორი ყირგიზი კი - ოშის რეგიონიდან (TSG 2015). 2017 წლის დეკემბერში ყირგიზეთში საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფების წევრი დააკავეს, რომელიც 2016-2017 წლებში სირიაში იბრძოდა და ყირგიზეთში იატაკქვეშა ტერორისტული უჯრედების და ყირგიზეთიდან მებრძოლების სირიაში ტრანსფერის ახალი არხების შესაქმნელად დაბრუნდა (Mokrenko 2017). 2016 წლის მონაცემებით, ყირგიზეთიდან სირიაში საბრძოლველად 571 მოქალაქე წავიდა, მათგან 63 ოჯახი და 100-მდე არასრულწლოვანი. აღსანიშნავია, რომ სირიაში წასულთა 80% ეთნიკურად უზბეკია (TSG 2015).

ტაჯიკეთი

ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ტაჯიკეთიდან ყველაზე მეტი ადამიანი შეუერთდა „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებს. 2014-2015 წლების მონაცემების მიხედვით, სირიაში საბრძოლველად 200-დან 1000 ტაჯიკამდე წავიდა.

დამოუკიდებლობის შემდეგ ტაჯიკეთში ეროვნული უსაფრთხოებისთვის საშიშროებას უზბეკეთის ისლამური მოძრაობა წარმოადგენდა. 2013 წლიდან „ისლამურმა სახელმწიფომ“ უზბეკეთის ისლამური მოძრაობა მას შემდეგ ჩაანაცვლა, რაც მის რიგებში ასობით ტაჯიკის გაერთიანებამ ახალი რეალობა წარმოშვა. ქვეყნისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს „ისლამური სახელმწიფოს“ უკანდაბრუნებული გაწვრთნილი მებრძოლები წარმოადგენდნენ.

120 ტაჯიკიდან, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებს შეუერთდა, 24 ბაკალავრის ხარისხი აქვთ. ამიტომ, ხელისუფლების ნარატივი, რომ „ისლამურ სახელმწიფოში“ ძირითადად გაუნათლებელი, ღარიბი და უმუშევარი მოქალაქეები მიდიან, სიმართლეს მოკლებულია. „ისლამურ სახელმწიფოში“ მებრძოლი ტაჯიკები ძირითადად 18-40 წლის ასაკის მამაკაცები არიან, რომელთაგან დიდი ნაწილი რუსეთში ცხოვრობდა, სადაც შრომით მიგრანტებად ჩავიდნენ. ტაჯიკების 80% რეკრუტირება „ისლამური სახელმწიფოს“ სწორედ რუსეთში მოხდა მეჩეთებსა თუ სავარჯიშო დარბაზებში. ცენტრალური აზიიდან

[3] არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები „ისლამურ სახელმწიფოში“ საცხოვრებლად ოჯახებთან ერთად მიდიან (Kaunekova 2016). მაგ., ტაჯიკეთიდან 150 ოჯახი წავიდა „ისლამურ სახელმწიფოში“, ყირგიზეთიდან - 63 (Karin 2017, 15).

წასულ მიგრანტთა დიდი ნაწილი განათლებული და უფრო კვალიფიციურია, ვიდრე ის სამსახურები ითხოვს, სადაც ისინი საქმდებიან. შესაბამისად, „ისლამურ სახელმწიფოში“ გაერთიანებულთა 50% სეკულარული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები არიან (Lemon, Heathershaw 2017).

ტაჯიკეთი პირველი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომელმაც ქვეყნის გარეთ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისთვის კანონმდებლობა გაამკაცრა. მხოლოდ 2016 წელს ტერორისტული ორგანიზაციის 368 წევრი დააკავეს, რომელთა შორის 133 "ისლამური სახელმწიფოს" რიგებში ირიცხებოდა, 18 „მუსლიმი ძმების“ წევრი იყო და ათი - თურქესტანის ისლამურ მოძრაობას ეკუთვნოდა (Karin 2017, 17).

უზბეკეთი

უზბეკეთს რელიგიური რადიკალიზმის ხანგრძლივი ისტორია აქვს. უზბეკეთის ისლამური მოძრაობა ითვლებოდა რეგიონის მთავარ საფრთხედ, რომელმაც ხელი შეუწყო სხვა ტერორისტული დაჯგუფებების აღმოცენებას, როგორიცაა *ჯამაათ ანსარ ალ-ლაჰ, ჯუნდ ალ-ხილაფა, უზბეკეთის ისლამური ჯამაათი.* „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ ერთგულების ფიცის დადების შემდეგ უზბეკეთის ისლამური მოძრაობის წევრები სირიაში წავიდნენ და სამხედრო ჯგუფები: იმამ ბუხარის ბატალიონი და *ქათიბათ ალ-თავჰიდ ვალ-ჯიჰად* შექმნეს. ოფიციალური დადასტურებული ინფორმაცია სირიაში საბრძოლველად წასული უზბეკების რიცხვის შესახებ, უცნობია. არაოფიციალური მონაცემების მიხედვით, სირიაში უზბეკეთიდან 3000-3500 მებრძოლი იბრძვის, თუმცა ეროვნული უსაფრთხოების სერვისის მონაცემებით, სირიაში სულ 500-600 უზბეკეთის მოქალაქეა (Karin 2017, 18).

თურქმენეთი

2013 წლის მონაცემებით, თურქმენეთიდან სირიაში საბრძოლველად 190 მოქალაქე წავიდა. ისინი სირიაში სხვადასხვა ტერორისტულ დაჯგუფებებში იბრძვიან. სამწუხაროდ, ზუსტი ცნობების მოპოვება ქვეყნიდან სირიაში საბრძოლველად წასულების შესახებ შეუძებელია, რადგან ქვეყნის ხელისუფლებამ ყველა წყარო დახურა, საიდანაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, არ არსებობს აშკარა ნიშნები იმისა, რომ რელიგიური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებს პოსტსაბჭოთა ცენტრალური აზიის მოქალაქეების ჩართვას „ისლამურ სახელმწიფოში“ და „ტერორიზმის ექსპორტს“. ამ მოსაზრებას ასაბუთებენ იმით, რომ თვითონ რეგიონში სულ რამდენიმე ტერორისტული დაჯგუფება მოქმედებს და 2012-2015 წლებში 85,000 ტერაქტიდან ცენტრალურ აზიაში მხოლოდ 62 მოხდა (Lemon 2017). ცენტრალური აზიის ქვეყნები მსგავსი საფრთხეების წინაშე წარსულშიც იდგნენ ადგილობრივი დაჯგუფებების ავღანეთსა და პაკისტანში თალიბებთან კავშირის გამო და სავარაუდოდ "ისლამურ სახელმწიფოსთან" ახალი კავშირები რეგიონს ახალ საფრთხეს შეუქმნის, როდესაც უკან დაბრუნებული მებრძოლები საკუთარ სამშობლოში დაიწყებენ „ტერორიზმის იმპორტს“ (Curtis 2016).

გამოყენებული ლიტერატურა:

Abizaid, Dana E. 2017. “Why ISIS Recruits from Uzbekistan and Kyrgyzstan”. http://nationalinterest.org/feature/why-isis-recruits-uzbekistan-kyrgyzstan-19067, sited on 7/08/2017.

Balci, B., Didier Chaudet. 2014. “Jihadism in Central Asia: A Credible Threat after the Western Withdrawal from Afghanistan”. Carnegie Endowment for International Peace, at http://carnegieendowment.org/2014/08/13/jihadism-in-central-asia-credible-threat-after-western-withdrawal-from-afghanistan-pub-56381, sited on 22/08/2017.

Barret, R. 2017. "Beyond the Caliphate: Foreign Fighters and Threat of Reternuees". October, 2017. http://thesoufancenter.org/wp-content/uploads/2017/11/Beyond-the-Caliphate-Foreign-Fighters-and-the-Threat-of-Returnees-TSC-Report-October-2017-v3.pdf

"Chinese embassy blast: Car bomb attack in Bishkek, Kyrgyzstan". BBC News. 30 August 2016.

Curtis Lisa, Luke Coffey, David Inserra, Daniel Kochis, Walter Lohman, Joshua Meservey, James Phillips, and Robin Simcox. 2016. "Combatting the ISIS Foreign Fighters Pipeline: A Global Approach". January 6, 2016. http://www.heritage.org/middle-east/report/combatting-the-isis-foreign-fighter-pipeline-global-approach

Dzhani, F. 2009. "What is the "Islamic Jihad Union: an Invention of Secret Services or a "Daughter" of Al Qaeda?" FerganaNews, 28 September 2009. www.fergananews.com (Chto takoe 'Soyuz Islamkogo dzhikhada: vidumka sekretnikh spetssluzhb ili 'dochka' al Kaidi?").

Eniseev, M. "Yet More Extremists Convicted in Uzbekistan". SA Online. www.inozpress.kg

"Foreign Fighters in Syria, an Updates Assessment of the Flow of Foreign Fighters into Syria and Iraq". The Soufan Group, December 2015. http://soufangroup.com/wp-content/uploads/2015/12/TSG_ForeignFightersUpdate_FINAL3.pdf

Karin, Erlan. 2017. "Central Asia: Facing Radical Islam". Russie. Nei.Visions, No. 98, Ifri, February 2017, sited on 31/01/2018.

Kaukenova, S. 2016. "200 Kazakhstanstev vmeste s sem'iami voiuiut v Sirii i Irake - sekretar' Sovbeza ("200 Kazakhs, Together with Their Families, are Fighting in Syria and Iraq - Secretary of the Security Council"). Vlast.kz, 2 March 2016. http://vlast.kz

Lemon E., John Heathershaw. 2017. "How Can we Explain Radicalization among Central Asia's Migrants?" 2 May, 2017. https://www.opendemocracy.net/od-russia/edward-lemon-john-heathershaw/can-we-explain-radicalisation-among-central-asia-s-migrants

Mokrenko, A. 2017. "Militants Transferring People to Syria Detained in Kyrgyzstan". 11 December, 2017, 24.kg news. https://24.kg/english/70610_Militant_transferring_people_to_Syria_detained_in_Kyrgyzstan

Omelicheva, M.Y. 2010. "The Ethnic Dimension of Religious Extremism and Terrorism in Central Asia". *International Political Review*, 31(2): 167-186.

"Over 40, 000 Foreign Militants from 100 Countries Fighting in Syria - US State Department". RT, 3 June 2016. www.rt.com

Ro'i, Yaacov. 2000. *Islam in the Soviet Union: From the Second World War to Gorbachev*. New York: Columbia University Press.

Sagdeev, R. "Central Asia and Islam: an Overview" in R. Sagdeev and S. Eisenhower. *Islam and Central Asia: an Enduring Legacy or an Evolving Threat?* Washington, DC: Center for Political and Strategic Studies.

Swanström, Niklas. 2010. "Traditional and Non-Traditional Security Threats in Central Asia: Connecting the New and the Old". *China and Eurasia Forum Quarterly*, Volume 8, No. 2 (Summer): 35-51.

Topchi, A. 2016. "The Danger of DAESH in Central Asia". TRTWORLD, 2 September, 2016. https://www.trtworld.com/asia/the-danger-of-daesh-in-central-asia-2697

Tromble, Rebekah. 2017. "From Nomadic Traditionalists to Sedentary Scripturalists? Reexeamining Ethno-Religious Discourse in Central Asia". *Problems of Post- Communism*, vol. 64, no. 6: 356-369.

Zennin, Jacob. "On the Eve of 2014: Islamism in Central Asia". https://www.hudson.org/research/9824-on-the-eve-of-2014-islamism-in-central-asia

დანართი 1

ქვეყანა	ოფიციალური მონაცემები		არაოფიციალური მონაცემები		უკან დაბრუნებულები
	2015 წლის	2017 წლის	2015 წლის	2017 წლის	
ყაზახეთი	300	200[4]	*		*
ყირგიზეთი			500	500	44
უზბეკეთი			500	1500	*
ტაჯიკეთი	386	1300			147
თურქმენეთი			360-400		*

[4] ყაზახეთის ხელისუფლების 2016 წლის მარტის მონაცემებით, 200 ყაზახი იბრძოდა სირიასა და ერაყში და ცხოვრობდა ოჯახებთან ერთად "ისლამური სახელმწიფოს" ტერიტორიაზე (Kaukenova 2016).